MES 3 21 0000733705

22/07/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2021წლის 08 ივლისს**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლეერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
2. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
3. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

4. იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კველვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
5. აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშრისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
6. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. მარინა ქორიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
9. ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
11. ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
12. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
13. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **(საბჭოზე ექსწრებოდა როგორც დაწესებულების წარმომადგენელი).**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები
1. თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამავე დეპარტამენტის პროფესორი;
2. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის სკოლის ხელმძღანელი, შპს "მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი "ინოვას"(innova medical center)"ზოგადი ქირურგი;
3. მაია გოგაშვილი -შპს "საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
4. ნინო მეგრელიშვილი - შპს "საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი, მედიცინის დოქტორი;
5. ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის ექიმი;

6. ეკატერინე ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
7. ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
8. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამნეტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
9. ნინო ნანავა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **(საბჭოს ესწრებოდა, როგორც დაწესებულების წარმომადგენელი)**

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი*:*
არჩილ უნდილაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ერეკლე კალატოზიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი;
თინა ჩიქოვანი - ხარისხსი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რიმა ბერიაშვილი - სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების დეპარტამენტი;
ნინო თევზაძე - მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
სოფიო იდაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გვანცა ვარდოსანიძე – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

შპსკენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი- *ექსპერტები:*
აირი გრეი ბროუნინგ სკოტი
მიჰაი ბოროში
მაია ზარნაძე
ირაკლი გაგუა

დავით მაკასარაშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა ეკა ეკალაძემ და მოწვეული საბჭოს წევრმა ნინო ნანავამ აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ აცილება შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეთან, ვინაიდან დაწესებულებაში დასაქმებულები არიან შრომითი ხელშეკრულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ უცხოელი ექსპერტების თარგმანს საკითხის განხილვის დროს უზრუნველყოფდა ცენტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე აუდიტორიას, მან ჯგუფის სახელით მადლიერება გამოხატა დაწესებულებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ კონსტრუქციული და საინტერესო თანამშრომლობისათვის. მისი თქმით ავტორიზაციის პროცესი წარიმართა საკმაოდ ეფექტურად და სასიამოვნოდ. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლეოდა შესაძლებლობას ექსპერტებს ნათლად და გასაგებად აღექვათ დაწესებულების ხედვა, ღირებულებები და მისია. მისი თქმით ექსპერტებმა ყველა დოკუმენტი შეისწავლეს დეტალურად. რაც შეეხება ძირითად მიგნებებს, როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტს კარგად და სიღრმისეულად აქვს ნამუშევარი, იმ მიზნით, რომ მიღწეული და დაკმაყოფილებული ყოფილიყო ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულების მიერ გამოყენებულ იქნა გარკვეული მიდგომები მედიცინის ერთსაფეხურიან და სტომატოლოგიის პროგრამებთან დაკავშირებით. ჩამოყალიბებულია კამპუსი და ფაკულტეტი, ექსპერტთა რწმენით, აღნიშნული ხელს შეუწყობს მიღწეულ იქნას კონკრეტული სასწავლო და საკვლევი გეგმა, რომელიც შესაბამისობაში მოვა უნივერსიტეტის მისიასთან და ასევე დაფუძნებული იქნება საერთშორისო სტანდარტებზე. ამ სტანდარტებში იგულისხმება საგანმანათლებლო პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკები და კვლევის საერთაშორისო სტანდარტები. ექსპერტებისთვის სასიამოვნო იყო იმის აღმოჩენა, რომ კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი თანამშრომლობა და გამოცდილება ემორის უნივერსიტეტთან, განსაკუთრებით სასწავლო და კვლევის მიმართულებით, პერსონალის განვითარების კუთხით. ასევე მან აღინიშნა, რომ ექსპერტებისთვის ნამდვილად სასიამოვნო იყო ხანგრძლივ სამომავლო დროში გათვლილი კოლაბორაციის ასპექტები ემორის უნივერსიტეტთან. ექსპერტებმა გააიდენტიფიცირეს საუკეთესო პრაქტიკის 9 მიმართულება, რომელმაც ყველა სტანდარტი მოიცვა და რაც ცხადყოფს, რომ კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ ამბიციური გეგმა, რომ ის კვლევის მხრივ იყოს ძალიან დატვირთული. სტუდენტები გახდნენ სწავლაზე ორიენტირებულები, რომლებსაც ექნებათ ძლიერი უნარები, როგორც კლინიკურ პრაქტიკაში ისე ზოგადად კლინიკურ უნარებში. სტუდენტებს ექნებათ შესასძლებლობა განვითარდნენ სამედიცინო კვლევებში და პროფესიონალიზმის კუთხით. ექსპერტებს სწამთ, რომ კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანსწრაფულობა და მათი წარმოდგენა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდნენ საზოგადოებას, არის ნათელი, მათ გეგმებში გაწერილია ხარისხის კულტურა, რომელიც ფონად ადევს ყველაფერს მთელს უნივერსიტეტში. დაწესებულებაში ყველა ჩართულია ხარისხის კულტურის შექმნაში. ამ ყველაფერმა კი უნდა უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების შენარჩუნება და გაამლიეროს სამეცნიერო აკადემიური პირველობა თავიანთ სფეროში. რაც შეეხება რეკომენდაციებს, როგორც მან აღნიშნა, მოცემულია 7 რეკომენდაცია, გარდა ერთისა, ყველა ეხება მეექვსე სტანდარტს, კვლევის განვითარებასა და სხვა კრეატიული საქმიანობის ნაწილს. ექსპერტმა მეექვსე სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით გაწერილია კონკრეტული დოკუმენტები, მათი აზრით, ეს დოკუმენტები არ არის საკმარისად დეტალიზებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების მიზანია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს დაეხმარონ იმაში, რომ ყურადღება მიაქციონ შეუსაბამობებს და სჯერათ, რომ თუ დაწესებულება დროულად მოაგვარებს კონკრეტულ გამოწვევებს, ეს მათ დაეხმარებათ ამბიციური გეგმების სამომავლოდ განხორციელებაში. მისი თქმით, რეკომენდაციები განკუთვნილია იმისათვის, რომ საკმარისად ადრეულ ეტაპზე მოხდეს თავიდან არიდება გარკვეული ინფორმაციის დაკარგვისა. საუბარია იმ მონაცემებსა და ინფორმაციაზე, რომელიც სამომავლოდ მნიშნელოვანი იქნება, იმისათვის, რომ მოხდეს კოლექტიური თუ ინდივიდუალური აღიარება გაწეული საქმიანობისა და მიღწევების. რაც შეეხება ერთ-ერთ რეკომენდაციას, რომელიც მეექსვე სტანდარტს მიღმაა გაცემული და ეხება 2.1 სტანდარტს, მისი თქმით, მართალია აკადემიური საბჭო არის წარმომადგენლობითი და მოიცავს მთლიან უნივერსიტეტს, მაგრამ ის არ არის საკმარისად დატვირთლი და წარმომადგენლობითი იმ მიზნით, რომ სამომავლოდ შეასრულოს ყოვლისმომცველი

მარეგულირებელი ფუნქცია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შემდეგ. გარკვეული წუხლები, რაც ექსპერტებს გააჩნდათ ამ საკთხთან დაკავშირებით ვიზიტის დროს გააჟღერეს დაწესებულების წარმომადგენლებთან. ექსპერტებს ესმით დაწესებულების პოზიცია, დემოკრატიული მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ექსპერტების რეკომენდაციაა, რომ კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გადახედოს და გააძლიეროს მიზნობრივი დანიშნულება ამ სტრუქტურის ჩანასახში და გააძლიეროს ეს სტრუქტურა სამომავლო ოპერირებისთვის. ექსპერტის თქმით, დასკვნაში ასევე მოცემულია რიგი რჩვები, რომლებიც აუცილებლად დაეხმარება უნივერსიტეტს კიდევ უფრო მეტად განვითარებაში. ექსპერტმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ჩართულ მხარეებს თანამშრომლობისა და ერთიანი სამუშაო პროცესისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს, თავისი მოსაზრებების დეტალურად წარმოდგენისთვის.
ექსპერტმა მაია ზარნაძემ მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ყველა ის დოკუმენტი, რაც მათ ვიზიტის დროს გამოითხოვეს დაწესებულებამ მოთხოვნისთანავე მიაწოდა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ძლიერი მხარეა პროგრამები, რომლებიც არ არის გაწერილი მხოლოდ ფურცელზე, არამდ დაწესებულებას გათავისებული და გააზრებული აქვს მათი ფუნქციონირების მნიშვნელობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინა მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენალმა საბჭოს ორგანიზებისათვის მადლობა გადაიხადა ცენტრს, ასევე მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით ექსპერტების დასკვნა არის საკმაოდ მაღალი დონის, რასაც ინსტიტუცია ძალიან აფასებს. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულების დაარსების იდეა უკავშირდება პროფესორ კენ ვოლკერს, ემორის უნივერსიტეტის პროფესორს. მის სახელს უკავშირდება ათეულობით ძალიან წარმატებული პროექტი და ასეულობით წარმატებული ახალგაზრდის პროფესიული განვითარება, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში. წარმოიშვა ინიციატივა, რომ კენ ვოლკერის საქმიანობის გასაგრძელებლად ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც საშუალებას მისცემდა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ახალგაზრდებს მიეღოთ უმაღლესი ხარისხის განათლება ხელმისაწვდომ ფასად. დაწესებულების მიერ შეიქმნა ძალიან კარგი გუნდი და ინსტიტუცია მოხარულია, რომ ექსპერტთა გუნდმა ეს საკითხი ესე კარგად წარმოაჩინა დასკვნაში. რაც შეეხება იმას, თუ რას აძლევს პარტნიორობა ამ უნივერსიტეტს, მისი თქმით, ის ორგანიზაციები და კონკრეტულად ემორის უნივერსიტეტი უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ახალ უნივერსიტეტს და მის თითოეულ თანამშრომელს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამებში, როგორც კლინიკურ საქმიანობაში, ისე დაცვის და განვითარების პროგრამებში, რომელიც უნივერსიტეტს მეტ საშუალებას მისცემს გახდეს მოწინავე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანია და ზუსტად აჩვენებს იმ წერტილებსა და მიმართულებებს, რომელებიც მომავალი წლებისათვის იქნება დაწესებულების პრიორიტეტი განვითარებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. აკადემიურ საბჭოსა და მის როლთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს გამოწვევაა ახალი უნივერსიტეტისთვის, ვინაიდან როგორც კერძო სამართლის სუბიექტისთვის აკადემიური საბჭოს როლი არის ფაკულტატური. დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ ეს ორგანო მაინც ჰქონოდა, რადგან აკადემიური პერსონალის ჩართულობა მართველობაში ყოფილიყო ძალიან მაღალი. ამ რეკომენდაციიდან გამომდინარე დაწესებულება მეტად იზრუნებს იმაზე, რომ ამ ორგანომ აქტიურად შეასრულოს თავისი როლი და უფრო დეტალიზებულად იყოს გაწერილი ფუნქცია - მოვალეობები, იმისათვის რომ შემდგომი

განვითარება დაფუძნებული იყოს ერთიან მონაცემებზე. 6.1 და 6.3 სტანდარტებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურ თანამშრომლობას ახორციელებს ემორის უნივერსიტეტთან. მისი თქმით, სტრატეგია ასევე მოიაზრებს, იმას რომ შემდგომი თანამშრომლობა განვითარდეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან, ეს განვითარება საერთაშორისო კუთხით მნიშვნელოვნად მოიცავს კვლევით კომპონენტს, რომელიც თავისმხრივ გულისხმობს პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართვას და თავისთავად გარე დაფინანსების მოძიებას. მისი თქმით, დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტის დებულება ითვალისწინებს პირდაპირი ფუნქციის გაწერას ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულისთვის, რომ სამედიცინო განათლების და მეცნიერების განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება, ტექნიკური მხარის აღმოჩენა, რაც გულისხმობს შესაძლებლობის ზრდას გარე დაფინანსების მოპოვებასთან დაკაშირებით. რეკომენდაციის მნიშნელობიდან გამომიდნარე ეს საკითხი კიდევ უფრო მეტად მოექცევა ყურადღებისა და პრიორიტეტების არეალში. 6.3 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასებების ხელმისაწვდომობას, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დაიწყებს თუ არა ამ საქმიანობას და ექნება თუ არა ანგარიშგება, რომელიც სისტემით არის გათვალისწიენებული, აუცილებლად გაითვალისწინებენ რეკომენდაციას და ამ შედეგების შეფასების ხელმისაწვდომობა იქნება უზრუნველყოფილი მაღალი ხარისხით. დაწესებულების განმარტებით, ყველაზე მეტი რეკომენდაცია სამეცნიერო კვლევას ეხება. მისი თქმით დაწესებულების ძლიერი მხარე, რომელიც არაერთხელ აღინიშნა, გახლავთ ურთიერთობა ემორის უნივერსიტეტთან. მისი თქმით, სტრატეგიულ გეგმაში ინსტიტუციას გაწერილი აქვს, რომ სასწავლო პროცესში ჩართულები იქნებიან არა მარტო საერთაშორისო დონის ადგილობრივი მეცნიერები, არამედ უცხოელი მეცნიერებიც. მათი მიზანია ახალგაზრდა თაობის აღზრდა ისეთ დონეზე, რომ მათ ჰქონდეთ პრეტენზია სამეცნიერო კვლევებში იყვნენ წარმატებულები არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. მისი თქმით, დაწესებულებისთვის ყველა რეკომენდაცია მისაღებია და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განსახილველ საკითხთან
მიმართებით.

საბჭოს წევრი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ დაწესებულება კონკრეტულად რა პროცესში ფიქრობდა ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლობის ჩართულობას? კონკრეტულად რაში გამოიხატება ემორის უნივერსიტეტის ჩართულბა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში უნდა განხორციელდეს კლინიკური საგნები, ის დაინტერესდა ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს თუ არა ისეთი ხელშეკრულებები გაფორმებული, სადაც მხოლოდ ის იქნება წარმოდგენილი. მან დაამატა რომ გულისხმობს ორივე პროგრამას, როგორც სტომატოლოგიას ასევე მედიცინას.

საბჭოს წევრის განმარტებით თვითშეფასების ანგარიში მაღალ აკადემიურ დონეზეა მომზადებული. მისი თქმით, თვითშეფასებაში საფრთხეებში მითითებულია აკრედიტაციის პროცესის ხანგრძილივი ეტაპი, გასაუმჯობესებელ მხარეებში კი მითითითებულია აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესის სირთულეები. შესაბამისად ის დაინტერესდა იმსთან დაკავშირებით, თუ დაწესებულება რას გულისხმობდა სირთულებში. ასევე, მისი თქმით თვითშეფასების 73 - ე გვერდზე დაწესებულებას მითითებული აქვს, საინფორმაციო რესურსები, ვებ - გვერდი, სადაც განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია, მაგალითად

უნივერსიტეტში განხორციელებული აქტივობები და სიახლეები. მან სთხოვა დაწესებულებას აქტივობებისა და სიახლეების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინა საბჭოსთვის. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ქართველ ექსპერტებს, ის დაინტერესდა, უცხოელი ექსპერტებისგან განსხვავებით მათ შეძლეს თუ არა დაწესებულებაში მისვლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ემორის უნივერსიტეტიდან მათ ჰყავთ 5 პროფესორი და ასევე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არის ემორის უნივერსიტეტის პროფესორი. ისინი ჩართულები იქნებიან სასწავლო საქმიანობაში, შემხებლობა ექნებათ სტუდენტებთან, ასევე უხელმძღვანელებენ ახალგაზრდა მეცნიერთა კლინიკურ კვლევებს. დაწესებულება მუშაობს ასევე საერთაშორისო დონის პროფესურის მოზიდვაზე, მათ მიერ ჩატარებული იქნება ტრეინინგები სწავლებები და ასევე მათ მიერ საერთაშორისო კვლევებში ჩართული იქნებიან ახალგარზდა მეცნიერები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ემორის უნივერსიტეტის ჩართულობა საინტერესოა აკადემიური პერსონალის უწყვეტი განვითარების საკითხთან დაკავშირებით და სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით. კონკრეტულად კი კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ექნებათ კლინიკური ტრეინინგები გაიარონ როგორც ემორის უნივერსიტეტის კლინიკებში, ასევე პარტნიორ კლინიკებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც ის იმყოფებოდა ემორის უნივერსიტეტში შეხვდა ქართველ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომლებიც დიპლომის შემდგომ განათლებას იღებენ აღნიშნულ უნივერსიტეტში. ის დაინტერესდა დაწესებულება მუშაობდა თუ არა ამ კატეგორიის სტუდენტებთან და აქვთ თუ არა მათი გამოყენების, დასაქმების სურვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები, რომელიც საბჭოს თავმჯდომარემ ახსენა, არიან სწორედ ის პირები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ იმ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოდან ჩადიან ემორის უნივერსიტეტში. მისი თქმით, არ არსებობდა კენ ვოლკერის უნივერსიტეტი, თუმცა ისინი ყოველთვის ეხმარებოდნენ ჩამოსულიყვნენ საქართველოდან სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობდნენ სტუდნტები მიემაგრებინათ ემორის ქართველ აკადემიურ პერსონალთან. მისი თქმით, იგეგმება ყველა იმ ადამიანის ჩართვა სასწავლო პროცესში ვისთანაც დაწესებულებას ურთიერთობა აქვს და ვინც დარჩება ემორის უნივერსიტეტში, ის თავისთავად ემორის აკადემიუროი პერსონალი იქნება. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს უდიდესი ქსელი, იგეგმება საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება ინსტიტუციის უკეთ განვითარების მიზნით. როგორც მან აღნიშნა, კლინიკური ბაზები არის სამედიცინო განთლებისთვის ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, თუმცა დაწესებულებას აქვს ურთიერთობა ისეთ კლინიკასთან, რომელშიც ექსკლუზიურად მხოლოდ ისინი არიან წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ასევე მათ ურთიერთობა აქვთ ისეთ კლინიკებთან, რომელშიც დაწესებულების გარდა არის მხოლოდ ერთი სხვა უნივერსიტეტიც წარმოდგენილი. მისი თქმით ემორის უნივერსიტეტში აქვთ გამოცდილება, რომ გრეიდის მემორიალურ ჰოსპიტალში ემორის სტუდენტების გარდა ასევე არიან მორჰაუსის სამედიცინო სტუდენტები, ეს კი სულაც არ უშლის ხელს სტუდენტებს შეიძინონ კლინიკური უნარჩვევები, პირიქით, ურთიერთანამშრომლობის პირობებში ისინი სწავლობენ თუ როგორ უნდა იმუშაონ სხვა ადამიანებთან ერთად. დაწესებულების მიზანია გაიზარდოს ისეთი კლინიკების რაოდენობა სადაც მხოლოდ ისინი და ერთი სამედიცინო სასწავლებელი იქნება წარმოდგენილი. რაც შეეხება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურებს, დაწესებულებისთვის გამოწვევაა ამ პროცედურის ხანგრძლივობა, თავად ეს ფორმალური პროცესები რამდენიმე თვიან პერიოდს მოითხოვს, მაგრამ გარდა ამისა ინსტიტუციისათვის მნიშვნელოვანი და არსებითი იყო ის, რომ

აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესები გარდა ფორმალური პროცესისა, რასაც სამართალწარმოება მოითხოვს, ასევე გულისხმობს იმ მოსამზადებელ პროცესს, რომელიც წინ უძღვოდა ამ ყველაფერს. უკვე არსებული უნივერსიტეტისათვის შესაძლებელია უფრო მარტივი იყოს გარკვეული ცვლილებების შეტანა, არსებობს უამრავი დოკუმენტი და მათი დაკორექტირება, გაუმჯობესება გაცილებით ხელმისაწვდომია, ვიდრე ახალი უნივერსიტეტსათვის, რომელსაც არანაირი დოკუმენტი იურიდიული და ფორმალური თვალსაზრისით არ გააჩნია. მათი ამოცანაა არა მხოლოდ შექმნა ამ დოკუმენტების, არამედ ის რომ შეიქმნან ხარისხიანადაც. მისი თქმით, ეს პროცესი თანმდევი ელემენტებით იყო მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც დაწესებულების განმარტებით წარმატებით იქნა დაძლეული. რაც შეეხება მეორე ნაწილს ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ახლა ცდილობენ ფორმალურად უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვებას. გარკვეული აქტივობები არსებობდა, რომელიც სტუდენტების აქტივობას არ მოიცავდა, მაგრამ ვინაიდან იურიდიულად არ ჰქონდათ უნივერსიტეტის სტატუსი თავი შეიკავეს ინფორმაციის გამოქვეყნებისგან, რადგან არ მომხდარიყო მესამე პირების შეცდომაში შეყვანა. თვითშეფასებაში კი ეს ინფორმაცია იმიტომ ასახეს, რომ რეალურად მექანიზმი მუშაობს, უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს სხვადასხვა აქტივობები. მისი თქმით, დაწესებულებას ექსკლუზიური ურთიერთობა აქვს ისეთ კლინიკებთან, რომლებთანაც განხორციელდება, როგორც სტომატოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამა ასევე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა და მხოლოდ მათი სტუდენტებისათვის იქნება შესაბამისი ბაზები გამოყენებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის იცნობდა პროფესორ კენ ვოლკერს და ის იყო შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ მედიცინას. მისი თქმით, 30 წლის განმავლობაში კენ ვოლკერმა საქართველოში ორასამდე ვიზიტი განახორციელა და იმდენივე რაოდენობის სტუდენტი წაიყვანა, რათა მათ მიეღოთ სხვადასხვა დონის განათლება აშშ-ში.

ექსპერტმა პასუხი გასცა საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვას და განმარტა, რომ ქართველი ექსპერტები ადგილზე იყვნენ და ნახეს დაწესებულება, ლაბორატორია, კლინიკური უნარჩვევების ცენტრი და ასევე სტომატოლოგიური კლინიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება 15:54 წუთზე
საბჭოს სხდომა განახლდა:16:10 წუთზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, ასევე სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა - 600 სტუდენტით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით.
საბჭო დასრულდა 16:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით